# საქართველოს კანონი

## „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის (გამოქვეყნებული სსმ №31, მუხლი 188, 27.06.05) მე-15 მუხლის „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ - ამ დაწესებულებების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების სააგენტოსათვის გადაცემა;

მუხლი 2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი